

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36
2018 წლის 2 მარტი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/12/2017წ., 190020020.35.140.016286) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა მელიქიძე

დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
2018 წელი
თავი I

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი		2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	8 614,5	6 677,0	2 714,1	3 962,9	6 591,1	2 641,1	3 950,0
შემოსავლები	8 545,7	6 658,7	2 714,1	3 944,6	6 581,1	2 641,1	3 940,0
არაფინანსური აქტივების კლება	68,8	18,3	0,0	18,3	10,0	0,0	10,0
გადასახდელები	6 828,2	8 106,1	3 152,3	4 953,8	7 396,5	2 739,3	4 657,2
ხარჯები	2 982,7	3 202,9	18,4	3 184,5	3 579,9	0,0	3 579,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 838,4	4 842,3	3 079,5	1 762,8	3 816,6	2 739,3	1 077,3



ვალდებულებების კლება	7,0	60,9	54,4	6,5	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	1786,4	-1429,1	-438,2	-990,9	-805,4	-98,2	-707,2

მუხლი 2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	8 545,7	2 674,5	5 871,2	6 658,7	2 714,1	3 944,6	6 581,1	2 641,1	3 940,0
გადასახადები	3 225,3	0,0	3 225,3	3 203,1	0,0	3 203,1	2 912,0	0,0	2 912,0
გრანტები	4 818,8	2 674,5	2 144,3	2 875,1	2 714,1	161,0	3 167,1	2 641,1	526,0
სხვა შემოსავლები	501,6	0,0	501,6	580,4	0,0	580,4	502,0	0,0	502,0
ხარჯები	2 982,7	0,0	2 982,7	3 202,9	18,4	3 184,5	3 579,9	0,0	3 579,9
შრომის ანაზღაურება	906,5	0,0	906,5	757,9	0,0	757,9	1 066,0	0,0	1 066,0
საქონელი და მომსახურება	787,5	0,0	787,5	898,4	18,4	879,9	825,2	0,0	825,2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	47,0	0,0	47,0
სუბსიდიები	1 017,6	0,0	1 017,6	1 138,7	0,0	1 138,7	1 187,5	0,0	1 187,5
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	179,8	0,0	179,8	226,3	0,0	226,3	203,0	0,0	203,0
სხვა ხარჯები	91,3	0,0	91,3	181,6	0,0	181,6	251,2	0,0	251,2
საოპერაციო სალდო	5 563,0	2 674,5	2 888,5	3 455,8	2 695,7	760,1	3 001,2	2 641,1	360,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 769,6	2 398,6	1 371,0	4 824,0	3 079,5	1 744,5	3 806,6	2 739,3	1 067,3
ზრდა	3 838,4	2 398,6	1 439,8	4 842,3	3 079,5	1 762,8	3 816,6	2 739,3	1 077,3
კლება	68,8	0,0	68,8	18,4	0,0	18,4	10,0	0,0	10,0



მთლიანი სალდო	1 793,4	275,9	1 517,4	-1 368,2	-383,8	-984,4	-805,4	-98,2	-707,2
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 786,4	272,7	1 513,7	-1 429,1	-438,2	-990,9	-805,4	-98,2	-707,2
ზრდა	1 786,4	272,7	1 513,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 786,4	272,7	1 513,7	0,0			0,0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	1 429,1	438,2	990,9	805,4	98,2	707,2
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			1 429,1	438,2	990,9	805,4	98,2	707,2
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-7,0	-3,3	-3,8	-60,9	-54,4	-6,5	0,0	0,0	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	7,0	3,3	3,8	60,9	54,4	6,5	0,0	0,0	0,0



საგარეო	0,0	0,0	0,0	0,5	0,0	0,5	0,0	0,0	0,0
საშინაო	7,0	3,3	3,8	60,4	54,4	6,0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

თავი II
მუნიციპალიტეტის შემოსავლები

მუხლი 3. ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6 581,1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი				2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	8 545,7	6 658,7	2 714,1	3 944,6	6 581,1	2 641,1	3 940,0	
გადასახდებლები	3 225,3	3 203,1	0,0	3 203,1	2 912,0	0,0	2 912,0	
გრანტები	4 818,8	2 875,1	2 714,1	161,0	3 167,1	2 641,1	526,0	
სხვა შემოსავლები	501,6	580,4	0,0	580,4	502,0	0,0	502,0	

მუხლი 4. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2 912,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი				2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	3 225,3	3 203,1	0,0	3 203,1	2 912,0	0,0	2 912,0	
საშემოსავლო გადასახადი	167,1	549,0		549,0	130,0		130,0	
ქონების გადასახადი	3 058,2	2 654,2	0,0	2 654,2	2 782,0	0,0	2 782,0	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 855,1	2 444,8		2 444,8	2 750,0		2 750,0	
ფიზიკურ პირთა								



ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,6	0,0		0,3	0,0	0,0	0,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,6	0,3	0,0	0,3	0,0		0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	163,1	169,7	0,0	169,7	30,0	0,0	30,0
ფიზიკური პირებიდან	136,5	169,7		169,7	25,0		25,0
იურიდიული პირებიდან	26,6	0,0		0,0	5,0		5,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	39,4	39,4	0,0	39,4	2,0	0,0	2,0
ფიზიკური პირებიდან	1,8	3,9		3,9	1,0		1,0
იურიდიული პირებიდან	37,5	35,5		35,5	1,0		1,0

მუხლი 5. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის გრანტები 3 167,1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	4 818,8	2 875,1	2 714,1	161,0	3 167,1	2 641,1	526,0
სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133				35,0	0,0		0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	4 818,8	2 840,1	2 714,1	126,0	3 167,1	2 641,1	526,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	2 144,3	126,0	0,0	126,0	526,0	0,0	526,0
გათანაბრებითი ტრანსფერი		2 018,3	0,0		0,0	400,0		400,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		126,0	126,0	0,0	126,0	126,0		126,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0,0	0,0			0,0		



ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	2 674,5	2 714,1	2 714,1	0,0	2 641,1	2 641,1	0,0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		2 399,8	2 714,1	2 714,1		2 641,1	2 641,1	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		274,8	0,0			0,0	0,0	

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 126,0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 55,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 70,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 1,0 ათასი ლარი.

მუხლი 6. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 502,0 ათ.ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი		2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	501,6	580,4	0,0	580,4	502,0	0,0	502,0
შემოსავლები საკუთრებიდან	421,0	461,7	0,0	461,7	450,0	0,0	450,0
პროცენტები	78,1	94,4		94,4	0,0		0,0
დივიდენდები	0,0	0,0			0,0		
რენტა	342,8	367,3	0,0	367,3	450,0	0,0	450,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	326,5	353,0		353,0	450,0		450,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	16,3	14,324		14,324	0,0		0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	21,7	27,3	0,0	27,3	2,0	0,0	2,0



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	11,7	23,8	0,0	23,8	2,0	0,0	2,0
სანებართვო მოსაკრებელი	1,5	6,6		6,6	2,0		2,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	10,2	17,233	0,0	17,233	0,0		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	10,0	3,469	0,0	3,469	0,0	0,0	0,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0			0,0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	10,0	3,469		3,469	0,0		
ჯარიმები, სანქციები და საურავები	58,9	85,1		85,1	50,0		50,0

თავი III

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ხარჯები 3 579,9 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	2 982,7	0,0	2 982,7	3 202,9	18,4	3 184,5	3 579,9	0,0	3 579,9
	შრომის ანაზღაურება	906,5	0,0	906,5	757,9	0,0	757,9	1 066,0	0,0	1 066,0
	საქონელი და მომსახურება	787,5	0,0	787,5	898,4	18,4	879,9	825,2	0,0	825,2
	პროცენტი							47,0	0,0	47,0
	სუბსიდიები	1 017,6	0,0	1 017,6	1 138,7	0,0	1 138,7	1 187,5	0,0	1 187,5
	სოციალური უზრუნველყოფა	179,8	0,0	179,8	226,3	0,0	226,3	203,0	0,0	203,0
	სხვა ხარჯები	91,3	0,0	91,3	181,6	0,0	181,6	251,2	0,0	251,2



მუხლი 8. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3 806,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3 816,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერე	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	101,6	0,0	101,6	32,5	0	32,5	25,0	0,0	25,0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3 370,2	2 136,2	1 234,0	4 083,8	3 079,5	1 004,3	3 480,3	2 739,3	741,0
განათლება	23,2	0,0	23,2	144,4	0,0	144,4	0,0	0,0	0,0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	343,5	262,4	81,1	581,6	0,0	581,6	311,3	0,0	311,3
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	0,0	0	0,1	0,0	0	0,0	0,0	0,0
სულ ჯამი	3 838,4	2 398,6	1 439,8	4 842,3	3 079,5	1 762,8	3 816,6	2 739,3	1 077,3

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი



		გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	68,8	0,0	68,8	18,4	0,0	18,4	10,0	0,0	10,0
ძირითადი აქტივები	15,7		15,7	4,4	0,0	4,4	0,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	53,1	0,0	53,1	13,9	0,0	13,9	10,0	0,0	10,0
მიწა	10,0		10,0	13,9	0,0	13,9	10,0	0,0	10,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 356,4	0,0	1 356,4	1 247,5	0,0	1 247,5	1 677,0	0,0	1 677,0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 356,4	0,0	1 356,4	1 247,5	0,0	1 247,5	1 677,0	0,0	1 677,0
702	თავდაცვა	71,9	0,0	71,9	73,0	0,0	73,0	81,4	0,0	81,4
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 484,9	2 139,4	1 345,5	4 124,9	3 128,3	996,6	3 635,3	2 739,3	896,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	500,9	272,7	228,2	213,0	2,1	210,9	140,0	0,0	140,0
70421	სოფლის მეურნეობა	500,9	272,7	228,2	213,0	2,1	210,9	140,0	0,0	140,0
7045	ტრანსპორტი	2 984,0	1 866,7	1 117,3	3 911,9	3 126,2	785,7	3 495,3	2 739,3	756,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 984,0	1 866,7	1 117,3	3 911,9	3 126,2	785,7	3 495,3	2 739,3	756,0
705	გარემოს დაცვა	140,0	0,0	140,0	190,0	0,0	190,0	220,0	0,0	220,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	140,0	0,0	140,0	190,0	0,0	190,0	220,0	0,0	220,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	214,3	0,0	214,3	419,9	18,4	401,5	225,0	0,0	225,0



7061	ბინათმშენებლობა	10,9	0,0	10,9	87,2	0,0	87,2	0,0	0,0	0,0
7064	გარე განათება	121,6	0,0	121,6	291,3	0,0	291,3	175,0	0,0	175,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	81,8	0,0	81,8	41,4	18,4	23,0	50,0	0,0	50,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	64,1	0,0	64,1	60,7	0,0	60,7	61,0	0,0	61,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	1,0	0,0	1,0	0,7	0,0	0,7	1,0	0,0	1,0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	1,0	0,0	1,0	0,7	0,0	0,7	1,0	0,0	1,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	63,1	0,0	63,1	60,0	0,0	60,0	60,0	0,0	60,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	898,9	262,4	636,5	1 167,8	5,5	1 162,3	881,8	0,0	881,8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	225,9	52,7	173,3	172,8	0	172,8	181,0	0,0	181,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	590,3	209,8	380,5	888,7	5,5	883,2	620,8	0,0	620,8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	32,7	0,0	32,7	56,3	0,0	56,3	30,0	0,0	30,0
709	განათლება	397,3	0,0	397,3	588,1	0,0	588,1	400,0	0,0	400,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	397,3	0,0	397,3	588,1	0,0	588,1	400,0	0,0	400,0
710	სოციალური დაცვა	200,2	0,0	200,2	234,2	0,0	234,2	215,0	0,0	215,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	96,1	0,0	96,1	99,8	0,0	99,8	90,0	0,0	90,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	61,8	0,0	61,8	64,8	0,0	64,8	55,0	0,0	55,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	34,3	0,0	34,3	35,0	0,0	35,0	35,0	0,0	35,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	104,1	0,0	104,1	134,5	0,0	134,5	125,0	0,0	125,0
	სულ	6 828,2	2 401,9	4 426,3	8 106,1	3 152,3	4 953,8	7 396,5	2 739,3	4 657,2



თავი IV

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0,0 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წელს სტრატეგია უცვლელია და ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი მიმართულებებია:

1. ტურიზმის განვითარება, რაც თავის მხრივ მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას;
2. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, მოსახლეობის სოციალური დაცვა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მუხლი 13. ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები

ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 4 080,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, ასპინძის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება და არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, ასევე დასუფთავების ღონისძიებები, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპორექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მყარი ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა;
- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა და ხიდი;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული გადაადგილება;
- ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება;



– მეტი განათებული ქუჩები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გაზრდილი უსაფრთხოება და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია – 3 495,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის არსებული ქუჩების, გზების და ხიდების რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოხრეშვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების მოწყობა. ზამთრის პერიოდში შიდა გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

– გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა და ხიდი;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

– მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული გადაადგილება;

– ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება;

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 535,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე მოხდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარწყავი სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მისი მოვლა-შენახვა, ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დასუფთავება.

ბ.ა) დასუფთავება – 220,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ქუჩების, ასევე სოფლების, ტროტუარების, სკვერების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა ნაგავსაყრელამდე, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარიულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სუთა გარემო;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დასუფთავებული ქუჩები;

ქვეპროგრამის განმახორციელებელია შპს „კეთილმოწყობა“.

ბ.ბ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 175,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ასპინძის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი რამდენიმე სოფლის რეაბილიტირებულ გზებზე



დამის განათება მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რის გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვა, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა. დღეის მდგომარეობით დაბაში და სოფლებში 3 800 (სამი ათას რვაასი) გარე განათების წერტილია, გასულ წელთან შედარებით დამატებულია 900 (ცხრაასი) განათების წერტილი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის გამართული მუშობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განათებული ქუჩების და უბნების რაოდენობის ზრდა;

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ გარე განათება.

ბ.გ) სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 140,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტში არსებული გრავიტაციული და სადერევაციო სარწყავი არხების მოვლას, პატრონობას, სარეაბილიტაციო და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. ასევე სატუმბო სადგურების აგრეგატების დაშლა-აწყობას, შემწოვი მილის, მუშთვლების, უკუსარქველის და სადაწნეო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

აღდგენილი და მოვლილი სარწყავი არხები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

– გაზრდილი მელიორაციული ფართობი(840 ჰა-დან-890 ჰა-მდე).

– გაზრდილი მოსავლიანობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ სამელიორაციო ცენტრი.

ბ.დ) ბინათმშენებლობა – 0,0 (პროგრამული კოდი 03 02 06)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება. განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების და სხვა შენობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. ასევე ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალის შექმნა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტის გალამაზებული იერსახე;

გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემო;

გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია.

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა – 50,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03)



მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს, ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- შედგენილი პროექტებით და ხარჯთაღრიცხვებით განსაზღვრული სამუშაოების შეუფერხებელი შესრულება.

შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.
- მომზადებული პროექტების რაოდენობის ზრდა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია.

2. განათლება – 400,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

ა) ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები – 400,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01 01)

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისათვის მომზადება. ის ითვალისწინებს ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ვალდებულია: მისი პროგრამა იყოს დაწყებითი განათლების რეალიზაციის გარანტია, ზრუნავდეს ბავშვის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, ყველა ბავშვს შეუქმნას განვითარების სათანადო პირობები და ხელი შეუწყოს ცხოვრების შემდგომ ეტაპზე წარმატების მისაღწევად.

ასპინძის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 4 საბავშვო ბაღი, ხოლო ემსახურება 7 სოფელს ტრანსპორტით (მოყვანა და წაყვანა), სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 380-მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ნორჩი აღსაზრდელების მომზადება და მზადყოფნა დაწყებით საფეხურზე წაყენებული მოთხოვნისადმი.

შეფასების ინდიკატორები:

- ბაღებში ბავშვების კონტიგენტის ზრდის ტენდენცია;
- გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;



ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.

ბ) ბაღების რეაბილიტაცია-(პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების ინვენტარით აღჭურვა და ეზოების კეთილმოწყობა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი-881,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობის და სპორტული ტრადიციების დაცვა და მათი განვითარება. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარება, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციის დაფინანსება. ასევე სკოლისგარეშე დაწესებულებათა დაფინანსება და ზოგადი განათლების ფინანსური მხარდაჭერა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 181,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და სპორტული კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდა;
- სპორტსმენთა სპორტული შედეგების გაუმჯობესება,
- სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

შეფასების ინდიკატორები:

სპორტსმენთა რაოდენობის ზრდის და დაოსტატების მაჩვენებლები;

გაუმჯობესებული ბაზა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია და არსებული სპორტული კლუბები.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა- 8,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 01)

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

- მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი კალათბურთში;
- მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ფეხბურთში;
- მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში;
- მაგიდის ჩოგბურთი;
- მხიარული სტარტები;
- მკლავჭიდი;
- მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში;
- მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში;
- მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში;

ა.ბ) სპორტული კლუბი – 10,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს შემდეგი სახის სპორტული კლუბები სხვადასხვა სფეროში.

- რაგბის კლუბი „ლომები“ (საქართველოს ჩემპიონატი ბ ლიგა);
- ფეხბურთის კლუბი „ვარძია“ (ფეხბურთში მომამზადებელი ჯგუფი);



- მშვილდოსნობა; კლუბი „ჩუბინები“;
- ბერძნულ-რომაული ჭიდაობა;
- ძიუდოს კლუბი „შორეთი“.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტის სფეროში;
- სპორტული განათლების დონის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სპორტული კლუბი.

ა.გ) ა(ა)იპ – ასპინძის სასპორტო გაერთიანება – 116,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

- აღნიშნული პროგრამის მიზანია ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასპორტო დაწესებულებების კოორდინაცია და მუშაობის ხელშეწყობა.

- მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება, სპორტის ტრადიციული სახეობების შენარჩუნება-განვითარება.

- ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში.

- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტის სფეროში;
- სპორტული განათლების დონის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – ასპინძის სასპორტო გაერთიანება.

ა.დ) ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“ – 47,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“, რომლის მიზანია რაგბის, როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბავშვთა და მოზარდთა რაგბის განვითარება და პროფესიული რაგბის დამკვიდრება სამცხე-ჯავახეთის მხარეში.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა რაგბში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რაგბის სფეროში მიღწეული წარმატებები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“;



ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა – 620,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები და სახელოვნებო სკოლები, მუზეუმი. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი პროგრამების გამართვა.

ბ.ა) ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი – 10,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ორგანიზაციაში გაერთიანებულები არიან „თავისუფალი თეატრი“; ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამცხე“ და ქართულ ხალხური ანსამბლი „წუნდა“, რომლებიც ცდილობენ აღმოაჩინონ ნიჭიერი ახალგაზრდები და მოახდინონ მათი პოპულარიზაცია, ასევე ინარჩუნებენ ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელ ტრადიციული ძირძველი ნაწარმოებების შენარჩუნებას.

პროგრამის ფარგლებში ანსამბლები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში, გეგმავენ და ატარებენ სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ კულტურულ ღონისძიებებს მოსახლეობისათვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.

ბ.ბ) ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრი – 139,9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

აღნიშნული პროგრამის მიზანია:

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის დარგების განვითარებისათვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, მ/შ:

- ქართული ხალხური სიმღერების და ფოლკლორის, საესტრადო და სხვა მუსიკალური

ჟანრების განვითარება;

- ქორეოგრაფიის განვითარება;
- ხელოვნების (მ.შ თეატრალური) განვითარება.
- სამუზეუმო და სხვა დარგების პოპულარიზაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.

ბ.გ) მთავარი ბიბლიოთეკა – 61,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)



ზემოაღნიშნული პროგრამა ეხმარება ასპინძის მუნიციპალიტეტის მკითხველ მოსახლეობას ცოდნის ამაღლებაში ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობას, წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით. პროგრამის მიზანია ასევე სხვადასხვა სახის საბიბლიოთეკო-კულტურული და მხატვრული ღონისძიებების ჩატარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მკითხველთა აქტიური ჩართვა, მისი დაინტერესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ბიბლიოთეკით მოსარგებლე მკითხველთა რიცხვის ზრდა, ასევე ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობისა და ხარისხის ანაღეტიკური მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა“.

ბ.დ) სახელოვნებო სკოლები – 97, 0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

